

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის N3 ოქმი

ქ.თბილისი

09.03.2015

სხდომა დაიწყო: 18:00 სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 19:00 სთ-ზე

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით განსაზღვრული „2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების“ კომისიის მესამე სხდომა ჩატარდა 2015 წლის 9 მარტს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ში, შემდეგ იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N 48.

სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის - მერაბ ფოლადაშვილის ინიციატივით, სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდნენ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის მიერ N02-40 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის შემადგენლობის შემდეგი წევრები:

1. კომისიის თავმჯდომარე - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **მერაბ ფოლადაშვილი;**
2. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი - **დავით ძამამია;**
3. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს არქიტექტორი - **ნინო ნოზაძე;**
4. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის საინჟინრო შეფასებების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **გიორგი მაღრაძე;**
5. კომისიის წევრი- ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის მრჩეველი - **არჩილ ბარბაქაძე**

კომისიის სხდომა გახსნა და ხელმძღვანელობდა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე - **მერაბ ფოლადაშვილი.**

James  
James  
James  
James

**დღის წესრიგი:**

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე ICOMOS/საქართველოს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შეფასება და საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

**კომისიამ განიხილა:**

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე ICOMOS/საქართველოს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შესაბამისობა საკონკურსო პირობებით დადგენილ კრიტერიუმებთან.

**კომისიამ დაადგინა:**

ა) გამომდინარე იქედან, რომ საკონკურსო დავალების მე-3 პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას წარმოადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 4 თვე (ექსპერტიზის დასკვნის ჩათვლით), ასევე მე-13 მუხლის 13.1. პუნქტის თანახმად, საკონკურსო წინადადების საერთო ფასი შეიცავს ექსპერტიზის ღირებულებას, ხოლო პრეტენდენტის - ICOMOS/საქართველოს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებით არ არის გათვალისწინებული ექსპერტიზის ხარჯები და ასევე სამუშაოების განხორციელების შემოთავაზებული ვადები არ შეიცავს ექსპერტიზისათვის საჭირო დროს, ეთხოვოს პრეტენდენტს, წერილობითი სახით დააზუსტოს მოიცავს თუ არა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება საექსპერტო (ხარჯთაღრიცხვის, კონსტრუქციული ნაწილის და საინჟინრო კომუნიკაციების) ხარჯებს, ხოლო შემოთავაზებული სამუშაოს ვადები - ექსპერტიზისათვის საჭირო დროს.

კენჭისყრის შედეგები: ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე - მერაბ ფოლადაშვილი

კომისიის წევრი - დავით ძაძაძია

კომისიის წევრი - ნინო ნოზაძე

კომისიის წევრი - არჩილ ბარბაქაძე

კომისიის წევრი - გიორგი მაღრაძე